




# საქართველოს რეფორმების ასოციაცია

---

2020

ჩეხეთისა და ლიეტუვის გამოცდილება  
დეზინფორმაციასთან ბრძოლის კონტექსტში





ავტორები:

მარიამ წიწიკაშვილი

ნიკა მამულაძე

რედაქტორი:

პაატა გაფრინდაშვილი

ანგარიში მომზადდა „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS) მიერ „პარტნიორობა ღია ინფორმაციისთვის“ (Open Information Partnership (OIP)) მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა არ გამოხატავდეს OIP-ის პოზიციებს.

© საქართველოს რეფორმების ასოციაცია 2020

[www.grass.org.ge](http://www.grass.org.ge)

[www.factcheck.ge](http://www.factcheck.ge)

## შესავალი

რუსული ჰიბრიდული ომის გამოწვევები განსაკუთრებით აშკარა 2014 წელს უკრაინაში რუსეთის შეჭრისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ გახდა. ერთი მხრივ, კრემლის მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია, ხოლო, მეორე მხრივ, დეზინფორმაციისა და საინფორმაციო სივრცის მავნე გამოყენება დასავლეთისთვის და განსაკუთრებით, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებისთვის, ერთგვარი განგაშის საფუძველი აღმოჩნდა.

ამ პერიოდიდან, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებმა რუსული ჰიბრიდული ომის წინააღმდეგ ეროვნული პოლიტიკისა და ახალი მიდგომების შემუშავება დაიწყეს, რომლებიც კრემლის მხრიდან მომდინარე საფრთხეების წინააღმდეგ მათ საზოგადოებრივ და სახელმწიფო მედეგობას გააძლიერებდა. ამ კუთხით, განსაკუთრებით საინტერესო ლიეტუვისა და ჩეხეთის რესპუბლიკის გამოცდილებაა. მოცემული ანგარიში დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ სწორედ მათი გამოცდილების შესწავლას ისახავს მიზნად. ორივე ქვეყანაში, ერთი მხრივ, სახელმწიფო დონეზე არსებული ინსტრუმენტები, მეორე მხრივ, კი საზოგადოებრივი ინიციატივები რუსეთის ჰიბრიდულ გამოწვევებთან ბრძოლის კონტექსტში მათ ერთ-ერთ მოწინავე ადგილზე აყენებს.

ჩეხეთის რესპუბლიკა და ლიეტუვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების მსგავსად, რუსული დეზინფორმაციის პრიორიტეტულ სამიზნეებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ კრემლის მავნე ქმედებების არეალი უკვე დიდი ხანია გასცდა ყოფილი მოკავშირეების საზღვრებს, აღნიშნული სახელმწიფოები კვლავ მოსკოვის ყურადღების ცენტრში რჩებიან. ჩეხეთის რესპუბლიკაში და სხვაგანაც, „დეზინფორმატორი წააგავს ბოროტ ექიმს, რომელიც „პაციენტის“ ავადმყოფობის ზუსტ დიაგნოზს სვამს, თუმცა შემდეგ ცდილობს რომ კიდევ უფრო დაასუსტოს პაციენტი და ხელი შეუწყოს დაავადების გამწვავებას“.<sup>1</sup> სხვა „აქტიურ ღონისძიებებთან“ ერთად, რუსული დეზინფორმაციის მთავარ ამოცანას აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცესთან დაშორება და რუსული გავლენის სფეროში დაბრუნება წარმოადგენს.

საქართველო, ლიეტუვისა და ჩეხეთის რესპუბლიკის მსგავსად, თუ უფრო მეტად არა, რუსული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გაცილებით ადრე გახდა კრემლის მავნე და აგრესიული ქმედებების მსხვერპლი, ქვეყანას რუსეთის ჰიბრიდულ საფრთხეებთან გამკლავებისთვის შესაბამისი ეფექტური ინსტრუმენტები არ გააჩნია. ასევე, არ გადადგმულა ნაბიჯები ერთიანი ეროვნული მიდგომის შესამუშავებლად.<sup>2</sup> საქართველომ ცალკეულ სტრატეგიულ დოკუმენტებში

<sup>1</sup> ლადისლავ ბიტმანის ციტატა, იაკუბ კალენსკის ჩვენებიდან: “Russian Disinformation Attacks on Elections: Lessons from Europe”. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NoRM32>

<sup>2</sup> ერთიანი ეროვნული მიდგომა (whole of society approach) გულისხმობს, ერთი მხრივ, მთავრობის შიგნით მაღალ კოორდინაციას სხვადასხვა უწყებებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, მთავრობის კოორდინაციასა და თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, მათ შორის

რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების, მათ შორის დეზინფორმაციის აღიარება მხოლოდ 2017 წლიდან დაიწყო. 2018 წლიდან სხვადასხვა სამინისტროში დაარსდა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დეპარტამენტების შექმნის მიზეზად სწორედ ანტიდასავლურ პროპაგანდასთან ბრძოლა დასახელდა,<sup>3</sup> რუსეთიდან მომდინარე საფრთხეების შესახებ საზოგადოებრივი მედეგობის გაზრდის კუთხით მათი აქტივობა დღემდე მინიმალურია. მაგალითად, მთავრობის ადმინისტრაციაში არსებული სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტის (რომელიც, თავის მხრივ, დანარჩენ სამინისტროებში არსებული მსგავსი დეპარტამენტებისთვის მაკოორდინირებელ ფუნქციასაც უნდა ასრულებდეს) მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული სააგენტო საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგიაზე მუშაობას 2021 წელს დაასრულებს. რაც შეეხება დეზინფორმაციის წინააღმდეგ ეროვნული ხედვისა და სტრატეგიის შექმნას, მთავრობის ადმინისტრაციის თანახმად, აღნიშნულზე მოლაპარაკებები გაერთიანებულ სამეფოსთან მიმდინარეობს. სტრატეგიული დოკუმენტების დამტკიცებამდე, აღნიშნული დეპარტამენტების საქმიანობა რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ფაქტობრივად უმნიშვნელოა, რიგ შემთხვევებში კი, მათ სამიზნეს ქვეყნის შიგნით მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი მედიების მონიტორინგი და კრიტიკა წარმოადგენს.<sup>4</sup>

2019 წელს, დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე საპარლამენტო თემატური მოკვლევა დაიწყო.<sup>5</sup> 1 წლის შემდეგ პარლამენტმა მიიღო საბოლოო ანგარიში, რომელიც სახელისუფლებო ინსტიტუტის მხრიდან რუსული დეზინფორმაციის შესწავლისა და სახელმწიფო პოლიტიკის გამლიერების კუთხით ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს.<sup>6</sup> ანგარიში პრობლემის ანალიზის გარდა, როგორც მთავრობის, ისე თავად პარლამენტის მიმართ, კონკრეტულ რეკომენდაციებს მოიცავს. ანგარიშის თანახმად, რეკომენდაციები მიზნად ისახავს რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ ქვეყნის მედეგობა ზრდას. მიუხედავად დოკუმენტის ფორმალური მიღებისა, საბოლოო ანგარიშისა და მასში გაწერილი რეკომენდაციების შესახებ არც საპარლამენტო განხილვის და არც მისი აღსრულების პროცესი ფაქტობრივად არ დაწყებულა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სახელმწიფოს დეზინფორმაციასთან ბრძოლის ინსტრუმენტები ფორმალურად მიღებული აქვს, პრაქტიკაში მათი აღსრულება არ ხდება.

---

არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ექსპერტულ წრეებთან, სფეროს სპეციალისტებთან, მედიასთან, სხვ.

<sup>3</sup> საქართველოს მთავრობა, 2018, „მთავრობის გადაწყვეტილებით, ყველა სამინისტროში სტრატეგიული კომუნიკაციების სტრუქტურული ერთეულები შეიქმნება“. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3b1EGG7>

<sup>4</sup> წიწიკაშვილი, მარიამ. 2020. სახელმწიფოს სტრატეგიული თუ პარტიული კომუნიკაცია?, საქართველოს რეფორმების ასოციაცია. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kDUWjG>

<sup>5</sup> საქართველოს პარლამენტი. 2019. თემატური მოკვლევის ჯგუფის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rg7wbm>

<sup>6</sup> საქართველოს პარლამენტი. 2020. საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის გამლიერება ქვეყანაში ანტიდასავლური დეზინფორმაციის და პროპაგანდის მიმართ. ხელმისაწვდომია <https://bit.ly/3r7Us80>

საზოგადოებრივ დონეზე რუსული დეზინფორმაციის წინააღმდეგ საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციები სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ, მათ შორის, ფაქტების გადამოწმების, ე.წ. პოზიტიური ნარატივების შექმნის, კვლევითი საქმიანობისა და მედიაწიგნიერების კუთხით.

მიმდინარე პუბლიკაცია მიზნად ისახავს საქართველოს როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორებს გააცნოს ჩეხეთისა და ლიეტუვის დეზინფორმაციასთან წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება, რომელიც შესაძლოა, საქართველოს დეზინფორმაციის საწინააღმდეგო პოლიტიკისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავების კუთხით გზამკვლევად იქცეს.

## **მეთოდოლოგიური ნაწილი**

ჩეხეთის რესპუბლიკისა და ლიეტუვის გამოცდილებების შესასწავლად მკვლევრებმა სამაგიდო კვლევის მეთოდები გამოიყენეს, რაც მათი გამოცდილების შესახებ უკვე არსებული პუბლიკაციების შესწავლას გულისხმობდა. გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში გამოყენებულია ლიეტუვისა და ჩეხეთის რესპუბლიკის სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებთან პირისპირ ინტერვიუები:

### **ჩეხეთის რესპუბლიკა**

იან მარიანი - ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, ერთიანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა;

ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო, უსაფრთხოების პოლიტიკის დეპარტამენტი;

იაკუბ იანდა, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ღირებულებების ცენტრი;

რადკო ჰოკოვსკი, უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ღირებულებების ცენტრი;

იონსა სიროვატკა, უსაფრთხოების კვლევების პრადის ინსტიტუტი;

იაკუბ კალენსკი, ატლანტიკური საბჭო;

ადრიანა ჩერნა, People in Need

ალექსანდრ მიტროფანოვი, პოლიტიკური კომენტატორი;

როსტისლავ ვალვოდა, პრადის სამოქალაქო საზოგადოების ცენტრი;

### **ლიეტუვა**

ვიქტორას დაუკსასი, Debunk.eu;

ლუკას ანრიუკაიტის, ატლანტიკური საბჭო;

დალია ზანკაუსკატე, ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრი (CEPA)

## დეზინფორმაცია ჩეხეთის რესპუბლიკაში

ჩეხეთის რესპუბლიკაში რუსული დეზინფორმაციის წყაროებს მრავალი სახე გააჩნიათ. არსებობენ პოლიტიკოსები, ცალკეულ შემთხვევაში პოლიტიკური პარტიებიც, მედიები, არასამთავრობო ორგანიზაციები და გასამხედროებული ჯგუფები,<sup>7</sup> რომლებიც ღია ან ფარულ პრორუსულ პლატფორმაზე დგანან.<sup>8</sup>

ჩეხეთის პოლიტიკურ სისტემაში საერთო-ეროვნული პროდასავლური კონსენსუსი არსებობს. თუმცა, აღნიშნული კონსენსუსისთვის გამოწვევას არა მხოლოდ რადიკალური ჯგუფები, არამედ ანტიდასავლური იდეოლოგიის გამზიარებელი ზოგიერთი მეინსტრიმული პარტია და პოლიტიკოსი წარმოადგენს. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, რომელიც პრორუსული დღის წესრიგის ხელშემწყობად და კრემლის ნარატივის გამავრცელებლად მიიჩნევა. ამ კუთხით, პრეზიდენტ მილოშ ზემანის რეაქცია უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტში რუსეთის მავნე ქმედებებზე ლაკმუსის ქაღალდია და მისი პრორუსული განწყობების საილუსტრაციოდ გამოდგება. ზემანის განცხადებით, ყირიმის უკრაინისთვის დაბრუნება შეუძლებელია და მისი უკრაინისთვის გადაცემა ხრუმჩოვის მიერ დაშვებულ შეცდომას წარმოადგენდა.<sup>9</sup> გარდა ამისა, მილოშ ზემანი იყო ერთადერთი ევროპელი ლიდერი, რომელიც 2015 წელს მოსკოვში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 70 წლისთავის აღსანიშნავად ჩავიდა და მოსკოვის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის მიზეზით წამყვანი დასავლური სახელმწიფოების მიერ გამოცხადებულ ბოიკოტს არ შეუერთდა.<sup>10</sup> პრეზიდენტმა მედიის ყურადღება ასევე ხმაურიანი განცხადებებით მიიპყრო, როდესაც ევროკავშირის მიერ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები ჩეხეთის რესპუბლიკის ეკონომიკური ინტერესებისთვის მავნედ შეაფასა და ევროპელი ექსპორტიორების სასჯელი უწოდა.<sup>11</sup>

ჩეხეთში დეზინფორმაციის გავრცელების მთავარ ინსტრუმენტებს ციფრული მედია და სოციალური ქსელები წარმოადგენს. საინტერესოა, რომ საშუალებები, რომლებიც ყალბი ახალი ამბებისა და ინფორმაციის მანიპულირების წყაროებად განიხილებიან, ჩეხეთის რესპუბლიკაში 2014 წელს რუსეთის მიერ ფართომასშტაბიანი საინფორმაციო ოპერაციების დაწყებამდეც მოქმედებდნენ. როგორც იაკუბ იანდა, ევროპული ღირებულებების ცენტრის

<sup>7</sup> გასამხედროებული ჯგუფები მათი ტაქტიკით, სტრუქტურით თუ ფუნქციებით ორგანიზებულია როგორც სამხედრო არმია, თუმცა ისინი ოფიციალურ [სახელმწიფო] სტრუქტურებს არ მიეკუთვნებიან და არალეგალურ ფორმირებებს წარმოადგენენ.

<sup>8</sup> Political Capital, 2017. The Russian Connections of Far-right and Paramilitary Organizations in the Czech Republic. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2qVUYM2>

<sup>9</sup> Wenerski, Łukasz. 2017. The Visegrad Countries and “Post-Truth.” ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2C3b1do>

<sup>10</sup> Radio Free Europe, 2015. Czech President Breaks Ranks With Moscow Visit. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2JD3Mx6>

<sup>11</sup> France 24. 2017. Czech president urges EU to end Russia sanctions. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2r3MqD1>

აღმასრულებელი დირექტორი შენიშნავს, ჩეხეთის რესპუბლიკაში დეზინფორმაციაზე მომუშავე ჯგუფი დაახლოებით 100 ადამიანისგან შედგება, რომლებიც იდეოლოგიური დატვირთვის (ვეროკავშირის საწინააღმდეგო, ანტისახელისუფლებო და ა.შ.) მქონე მანიპულაციურ ნარატივებს ავრცელებენ. მასშტაბურმა რუსულმა საინფორმაციო ოპერაციებმა ჩეხური დეზინფორმაციის ჯგუფი მათ მენტალობასა და ხედვაზე მორგებული იდეოლოგიური ჩარჩოთი აღჭურვა.

თუ რიცხვებზე ვისაუბრებთ, ანალიტიკოსები გამოყოფენ დაახლოებით 40 ონლაინ მედიას, რომლებიც რეგულარულად აქვეყნებენ მცდარ ინფორმაციას და მანიპულაციურ ნარატივებს ავრცელებენ.<sup>12</sup> მათ შორის 17 მედიასაშუალება უარყოფითად წარმოაჩენს აშშ-ს და განსაკუთრებით ვეროკავშირს. ერთადერთი რუსული მედია, რომელიც ჩეხეთში ფუნქციონირებს არის „სპუტნიკის“ ჩეხური ფილიალი, რომელიც „გლობსკის“ ჩატარებული ანალიზის თანახმად, ზოგჯერ ადგილობრივ და უფრო მეტად დამკვიდრებულ დეზინფორმაციის საშუალებებზე უფრო აქტიურია.<sup>13</sup> თუმცა, ადგილობრივი რესურსები, როგორებიცაა „პარლამენტის ფურცლები“ (Parlamentní listy),<sup>14</sup> „AC24“, „AE News“ (ასევე ცნობილია როგორც „აერონეტი“), „ახალი რესპუბლიკა“ (Nová Republika), „პირველი სიახლეები“ (První Zprávy) და სხვა, მანიპულირებულ ინფორმაციას უფრო ხშირად ავრცელებენ, ვიდრე ღიად კრემლის დაფინანსებული „სპუტნიკი“.<sup>15</sup>

დეზინფორმაცია ძირითადად საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო საკითხების შესახებ ვრცელდება, თუმცა ყურადღების ცენტრში ასევე ხვდება ქვეყნის შიგნით განვითარებული პროცესები. 2018 წლის ჩეხეთის საპრეზიდენტო არჩევნებში საინფორმაციო გარემომ საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. მილოშ ზემანის ღია მხარდაჭერის გარდა, დეზინფორმაცია აგრესიულად ესხმოდა თავს მის კონკურენტ ირჟი დრაგოშს, რომელსაც „სახელმწიფო უშიშროებასთან“ (კომუნისტურ პერიოდში ჩეხეთის საიდუმლო პოლიცია) კოლაბორაციაში მყოფად და შეუზღუდავი იმიგრაციის მომხრედ წარმოაჩენდა,<sup>16</sup> ხოლო კამპანიის შემოწირულობად სოროსის ფულის მიღებაში ადანაშაულებდა.<sup>17</sup> ანალოგიურად, პრემიერ-მინისტრის გადადგომის მოთხოვნით კომუნისტური ეპოქის შემდეგ გამართული ყველაზე

<sup>12</sup> 7 Janda, Jakub. 2017. The Kremlin's hostile influence in the Czech Republic: The state of play. Warsaw Institute Review. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2BZK1vi>

<sup>13</sup> „სპუტნიკის“ ჩეხურენოვანი ვერსიის ვიზიტორთა რაოდენობა 2018 წ. ივლისში 2.5 მილიონს შეადგენდა, ac24.cz-ს 1 მილიონ ვიზიტორთან შედარებით. მონაცემები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2IXCZ5s>

<sup>14</sup> სახელთან დაკავშირებული მსგავსების გამო, დეპუტატთა პალატამ გაავრცელა საჯარო განცხადება საზოგადოების ინფორმირების მიზნით, სადაც აღნიშნულია რომ ვებგვერდს „პარლამენტის ფურცლები“ არ გააჩნია კავშირი პარლამენტის საქმიანობასთან და არ ასახავს მის პოზიციებს.

<sup>15</sup> Krejčí, Markéta. 2017. “State of the Czech disinformation community in 2017”. European Values Think Tank. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2krEcSg>

<sup>16</sup> Janda, J., Vichova, V, et al. 2018. “The role of the Kremlin's influence and disinformation in the Czech presidential elections.” European Values Think Tank. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2kYhilz>

<sup>17</sup> Syrovátka, J, and Hroch, J. 2018. “Presidential Elections 2018”. Prague Security Studies Institute. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2FIBJcs>

მასშტაბური გამოსვლის ფონზე, რომელშიც 250 ათასი ადამიანი მონაწილეობდა, ინტერნეტში ფართოდ გავრცელდა ყალბი ინფორმაცია, რომ საპროტესტო მოძრაობის შესასუსტებლად დემონსტრანტებს ფულს ჯორჯ სოროსი და ჩეხური პოლიტიკური პარტიები უხდიდნენ.<sup>18</sup>

დეზინფორმაციის გამავრცელებელ საშუალებებსა და კრემლს შორის პირდაპირი კავშირების გარეშე, გაუქმებული ნარატივები თანხვედრაშია რუსულ მედიასთან. 2015 წელს, „პრადის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტმა“ გზავნილების მსგავსების დასადგენად ადგილობრივი ჩეხური და სლოვაკური გამოცემების პუბლიკაციები „სპუტნიკის“ სტატიებს შეადარა. ზემოხსენებული მედიასაშუალებები უნისონში ამტკიცებდნენ, რომ აშშ-ის მიზანს მსოფლიოს ყველა ქვეყანაზე კონტროლის დამყარება და გლობალური მასშტაბით კონფლიქტების გაჩაღება წარმოადგენს. ამასთან, განსაკუთრებით უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის კონტექსტში, უარყოფითად იყო წარმოჩენილი ევროკავშირი და NATO, რომლებსაც აგრესორებად მოიხსენიებდნენ.<sup>19</sup>

გარდა ამისა, ჩეხეთის რესპუბლიკაში დეზინფორმაციის გამავრცელებელი საშუალებების თანდაყოლილ მახასიათებელს დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ უნდობლობის დათესვა წარმოადგენს. აღნიშნული წყაროების ტრადიციული ნარატივია პოლიტიკოსებისა და ძირითადი მედიების კორუფციულ და მანიპულაციურ ხასიათზე ხაზგასმა, რომლითაც ცდილობენ მსოფლიო ქაოსის წარმოჩენას, სადაც სიმართლის დადგენა შეუძლებელია. ევროკავშირში მიგრანტთა კრიზისის დროს, რომელმაც პიკს 2015 წელს მიაღწია, აღნიშნული მიმართულებით დეზინფორმაცია ჩეხეთშიც საკმაოდ აქტიურად ვრცელდებოდა და მიზნად ისახავდა ჩეხურ საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული ანტი-საიმიგრაციო და უმცირესობების წინააღმდეგ არსებული განწყობების გაზრდის ხელშეწყობასა და გამოყენებას. დეზინფორმაციის გამავრცელებელი წყაროების დისკურსში NATO-ს საწინააღმდეგო ნარატივთან ერთად, ასევე ვხვდებით ყალბი ნეიტრალიტეტის<sup>20</sup> მხარდაჭერას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მყისიერ საფრთხეს არ წარმოადგენს, სათანადო კულტივირების შემთხვევაში, ამ საკითხს ჩეხურ საზოგადოებაში შესაძლოა ბევრი მომხრე გამოუჩნდეს.

მედიაში გავრცელებული პროპაგანდა რუსეთის ღია მხარდაჭერის ნაცვლად, უფრო ხშირად, დასავლური სტრუქტურების საწინააღმდეგოდაა მიმართული. თავის მხრივ, რუსეთი ხშირად წარმოჩენილია როგორც მსხვერპლი, რომელიც „NATO-ს მიერ რუსეთის ალყაში მოქცევას“ აგრესიულად პასუხობს. მანიპულატორული მედია სააგენტოების კუთხით, შემაშფოთებელია

<sup>18</sup> პირველი ვერსია. 2019. “Lessons from the Czech Republic for reporting on disinformation”. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2kxWr8G>

<sup>19</sup> Smoleňová, Ivana. 2015. “Types of media spreading pro-Russian propaganda, their characteristics and frequently used narratives”. Prague Security Studies Center. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/1L2J84O>

<sup>20</sup> აღსანიშნავია, რომ ყალბი ნეიტრალიტეტის თემა საქართველოშიც აქტუალურია და ის ძირითადად პრორუსული პარტიებისა და მათი მხარდამჭერი მედიების მიერ არის წახალისებული.



მათი გავრცელების მასშტაბი და მარგინალური ჯგუფებიდან საზოგადოების ფართო მასებში გადანაცვლების ტენდენცია.

ჩეხური დეზინფორმაციის საკმაოდ უნიკალურ მახასიათებელს წარმოადგენს ის ფაქტი რომ დეზინფორმაცია ხშირად ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ვრცელდება (ე.წ. ჯაჭვური პრინციპით). „ჩეხი ელემების“ პრესსპიკერის, ვიტ კუჩიკის განმარტებით: „ელექტრონული წერილები როგორც წესი ტაბლოიდურ სტილში იწერება და ამ წერილებს არა ღიად პოლიტიკური, არამედ ემოციური შინაარსი აქვთ“.<sup>21</sup> ჩეხეთის რესპუბლიკაში მცხოვრები საშუალო სტატისტიკური მომხმარებელი თითქმის ყოველდღიურად იღებს ჯაჭვურ ელექტრონულ წერილებს. აღნიშნული წერილები ფართოდ გამოიყენებოდა ევროპარლამენტის არჩევნების დროს ევროკავშირის მხარდამჭერი განწყობების მქონე პოლიტიკოსებზე თავდასხმისთვის. თუმცა, ჯაჭვური წერილების ძირითად სამიზნე აუდიტორიას უფროსი ასაკის თაობა წარმოადგენს, ხოლო სოციალური მედია (უპირველეს ყოვლისა Facebook), შედარებით ახალგაზრდა თაობასა და ფართო აუდიტორიაზე წვდომის ძირითადი არხია.<sup>22</sup>

მედიისა და პოლიტიკოსების გარდა, ჩეხეთში საზოგადოებრივ დონეზე არსებობენ ექსტრემისტული (ულტრამემარჯვენე და ულტრამემარცხენე) ან ღიად პრორუსული ჯგუფები, რომლებიც შეზღუდული პოლიტიკური გავლენით სარგებლობენ. ოფიციალურად დარეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციები, ისეთები როგორცაა: „სლავური სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი“ და „ჩეხურ-მორავიული სლავური ასოციაცია“, ღიად ავრცელებენ პრორუსულ ხედვებს. გარდა ამისა, ჩეხეთში ვხვდებით გასამხედროებულ დაჯგუფებებს, რომლებსაც პრორუსული ორიენტაცია გააჩნიათ და მხარს რუსულ მსოფლმხედველობას უჭერენ. აღნიშნულ ჯგუფებს შორის არიან „ჩეხოსლოვაკი თადარიგის სამხედროები“, რომელიც ძირითადად თადარიგის ჯარისკაცებს აერთიანებს და „ეროვნული შიდა გვარდია“, რომელიც 2015 წლის მიგრანტთა კრიზისის საპასუხოდ შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ ღიად პრორუსული იდეოლოგიის მქონე ორგანიზებული და ინსტიტუციონალიზებული ჯგუფები/ექსტრემისტები მცირერიცხოვანი, ხოლო მათი პოლიტიკური გავლენა შეზღუდულია, ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიციის დეპარტამენტის თანახმად, ისინი ხელს უწყობენ პრორუსული პროპაგანდის, ქსენოფობიური აზროვნების, შეთქმულების თეორიების და დეზინფორმაციის გავრცელებას.<sup>23</sup>

<sup>21</sup> Kučik, Vit. 2019. “Chain Emails and Disinformation in the Czech Republic”. Disinfo Portal. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2moVhgg>

<sup>22</sup> Political Capital, 2017. The Russian Connections of Far-right and Paramilitary Organizations in the Czech Republic. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2qVUYM2>

<sup>23</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს 2018 წლის ანგარიში ექსტრემიზმისა და წინასწარშეგონებული ზიზლის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PzcRL3>

## როგორ რეაგირებს საფრთხეზე ჩეხეთის რესპუბლიკის ხელისუფლება?

რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკა სახელმწიფო სტრატეგიული დოკუმენტების გადახედვისა და განახლების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს. ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კონცეფციის შესაბამისად, რუსეთთან პოლიტიკა დამოკიდებულია მოსკოვის მიერ საერთაშორისო სამართლის დაცვაზე, ასევე მეზობელი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემაზე.<sup>24</sup> 2017 წელს გამოქვეყნებულ თავდაცვის სტრატეგიაში მკაფიოდ ხაზგასმულია რუსეთის ფედერაციის მიერ NATO-სა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების წინააღმდეგ განხორციელებული ჰიბრიდული ოპერაციები, მათ შორის მიზნობრივი დეზინფორმაციის გავრცელება და კიბერთავდასხმები.<sup>25</sup> თუმცა, აღნიშნული საკითხის მაღალ პოლიტიკურ დონეზე გადატანამდე, ჩეხეთის კონტრაზვერვა ქვეყნის დესტაბილიზაციის მიზნით, რუსული სახელმწიფოს მხარდაჭერით წარმოებული დეზინფორმაციის და პროპაგანდის შესახებ უკვე ღიად საუბრობდა.<sup>26</sup> გამოკითხულმა ჩეხმა ანალიტიკოსებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს 2016 წელს ქვეყნის მთავრობის მიერ წამოწყებულ ეროვნული უსაფრთხოების აუდიტს, რაც ქვეყანაში არსებულ პოლიტიკაში გარდატეხის შემტან ერთ-ერთ მამოძრავებელ ფაქტორად ჩამოყალიბდა. ეროვნული უსაფრთხოების აუდიტის შემდეგ, ჩეხეთის რესპუბლიკაში მავნე ზეგავლენასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

- ჩეხეთში შეიქმნა ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრი, რომლის მიზანსაც სწორედ დეზინფორმაციასთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან მიმართებით ქვეყნის მედეგობის ზრდა წარმოადგენს.<sup>27</sup> ცენტრი შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების პოლიტიკის დეპარტამენტის შემადგენლობაში მოქმედებს. მის ფუნქციებში შედის შიდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დეზინფორმაციის მონიტორინგი და ანალიზი. ცენტრი თავისი არსით არის ანალიტიკური და პოლიტიკის შემმუშავებელი ინსტიტუტი, რომელიც ძირითადად მთავრობის შიგნით მუშაობს. ცენტრს გააჩნია საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომა და შესაბამისად, მათ მიერ განხორციელებული მონიტორინგი და ანალიტიკური პროდუქტი გაცილებით უფრო ყოვლისმომცველია, ვიდრე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მიერ მომზადებული ანგარიშები. ცენტრი აწარმოებს ანალიტიკურ დოკუმენტებს, წარადგენს წინადადებებს პოლიტიკის

<sup>24</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკური კონცეფცია. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2q9aDHy>

<sup>25</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის 2017 წლის თავდაცვის სტრატეგია. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3356Ppf>

<sup>26</sup> უსაფრთხოების ინფორმაციის სამსახურის 2015 წლის ყოველწლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2C4wiDn>

<sup>27</sup> ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/337qncP>

შემუშავების შესახებ და სხვადასხვა სამინისტროს საჭიროების მიხედვით, ამზადებს საკომუნიკაციო პროდუქტებს. დეზინფორმაციასთან ბრძოლაში ერთიანი სამთავრობო ძალისხმევის საჭიროებიდან გამომდინარე, ცენტრი უზრუნველყოფს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში მომუშავე საჯარო მოხელეების მომზადებას დეზინფორმაციის საფრთხესთან მიმართებით და სათანადო კონტროლების (მაგ.: სტრატეგიული კომუნიკაცია) მისაღებად ცნობიერების ასამაღლებლად.

ინფორმაციის გაზიარების ინსტიტუციური არხების მეშვეობით პოლიტიკის ზომების კოორდინირების მიზნით ცენტრი ყველა შესაბამის სახელმწიფო უწყებასთან (უსაფრთხოება, დაზვერვა, პოლიცია და ა.შ.) თანამშრომლობს. ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს ქვეყნის შიგნით არსებულ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან (ექსპერტთა ჯგუფები, აკადემიური წრეები). თანამშრომლობის ფარგლებში მიმდინარეობს ფორმალური და არაფორმალური შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს როგორც ინფორმაციის გაცვლა, ასევე საჭიროების შემთხვევაში, როლების გადანაწილება და დეზინფორმაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

აღნიშნულის გარდა, ცენტრი ასევე მონაწილეობას იღებს ეროვნული უსაფრთხოების სამსახურის ფარგლებში მოქმედი ჰიბრიდული საფრთხეების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრებში. 2017 წელს ცენტრმა ჩამოაყალიბა ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალია დემოკრატიული არჩევნების პროცესზე თავდასხმის ყველა შესაძლო სცენარის განხილვა, პოტენციური სისტემური ხარვეზების იდენტიფიცირება, ასევე ძირითადი და სამართლებრივი კონტროლების არსებობის და ეფექტიანობის შესწავლა. ჯგუფის საქმიანობა საიდუმლო ხასიათს ატარებს, თუმცა გამოყენებულ იქნა ჩეხეთის საარჩევნო სისტემის შესაძლო მოწყვლადობის მიმოხილვის მიზნით.<sup>28</sup>

ცენტრი ასევე აქტიურია საერთაშორისო დონეზე, NATO-სა და ევროკავშირში არსებულ შესაბამის ინსტიტუტებთან თანამშრომლობისა და კომუნიკაციის კუთხით.

- მზადდება ანგარიშები ექსტრემიზმის და სიძულვილის შესახებ: პირდაპირი ურთიერთქმედების გარეშე, სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ ექსტრემისტულ და ულტრამემარჯვენე ჯგუფებში მზარდია რუსული მსოფლმხედველობას გაზიარებისა და მოწონების ტენდენცია. ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს,<sup>29</sup> სადაც ქვეყანაში რასიზმისა და ქსენოფობიის გამოვლინებების დოკუმენტურად აღრიცხვასთან ერთად, გაანალიზებულია პოლიტიკურ და სოციალურ სფეროებში ექსტრემისტული ჯგუფებისა და პიროვნებების აქტიურობა.

<sup>28</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/309JRgR>

<sup>29</sup> ჩეხეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო. ანგარიში ექსტრემიზმის შესახებ. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3355sqB>

ბოლო წლებში გამოქვეყნებულ ანგარიშების თანახმად, ჩეხეთში მოქმედი ექსტრემისტული ჯგუფები სულ უფრო უახლოვდებიან რუსული დეზინფორმაციის ნარატივებს. აღნიშნული ანგარიში იმ პირებისა და ჯგუფების გამოაშკარავებისა და საზოგადოებრივი კრიტიკის ინსტრუმენტია, რომლებმაც გრძელვადიან პერსპექტივაში შესაძლოა შეასუსტონ ჩეხეთის რესპუბლიკის დემოკრატიული პრინციპები, ზიანი მიაყენონ ქვეყნის უსაფრთხოების გარანტიებს და ხელი შეუწყონ სოციალური ერთობის რღვევას.

- მზადდება სადაზვერვო უწყებების ანგარიშები: ჩეხური სადაზვერვო სამსახურები საკუთარ ყოველწლიურ ანგარიშებში ღიად საუბრობენ დეზინფორმაციიდან მომავალ საფრთხეებზე და არ გაურბიან იმ უცხო სახელმწიფოების, მათ შორის რუსეთის, პირდაპირ დასახელებას, რომლებიც ძალის პროეცირებას არასამხედრო გზებით ცდილობენ. შესაბამისად, ანგარიშებში საფრთხეების დოკუმენტურად წარმოდგენასთან ერთად, სადაზვერვო სამსახურები ხელს უწყობენ სამთავრობო უწყებებში, ისევე როგორც ზოგად აუდიტორიაში დეზინფორმაციიდან მომავალ საფრთხეებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩეხური სპეცსამსახურების უმაღლესი თანამდებობის პირებმა რუსული წყაროები ჩეხეთის რესპუბლიკაში დეზინფორმაციის გავრცელებაში ღიად დაადანაშაულეს.
- NATO-სა და ევროკავშირის სტრატეგიული კომუნიკაციის ჯგუფებთან თანამშრომლობა: ჩეხეთის რესპუბლიკა დეზინფორმაციასთან ბრძოლის კუთხით აქტიურია საერთაშორისო დონეზე. ეროვნული უსაფრთხოების აუდიტის შემდეგ, ჩეხეთის მთავრობამ ექსპერტები დანიშნა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის აღმოსავლეთ სტრატეგიული კომუნიკაციების ჯგუფში და ქ. რიგაში მდებარე NATO-ს სტრატეგიული კომუნიკაციების ცენტრში. NATO-სა და ევროკავშირის დონის სტრატეგიული კომუნიკაციების უწყებებში საკუთარი წარმომადგენლების დანიშვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, საფრთხის პოლიტიკური აღიარების კიდევ ერთ ნაბიჯს წარმოადგენს და მეორე მხრივ, მთავრობას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასარგებლო ქსელისა და ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.

საფრთხის დოკუმენტირებისა და გაანალიზების თვალსაზრისით, ჩეხეთის რესპუბლიკა რამდენიმე მნიშვნელოვან გაკვეთილს გვთავაზობს. აშკარაა, რომ ჩეხეთის რესპუბლიკა მაღალ შეფასებას იმსახურებს პრობლემის გაცნობიერებისა და ჰიბრიდული საფრთხეების, მათ შორის დეზინფორმაციის წინააღმდეგ, პოლიტიკის შესაბამისი ზომების შემუშავების ასპექტებში. თუმცა, სტრატეგიული კომუნიკაციების და სახელმწიფოს ხელმძღვანელობით ცნობიერების ამაღლების კამპანიის მხრივ, გასაუმჯობესებელი ჯერ კიდევ ბევრია. ერთადერთი სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი საგარეო საქმეთა სამინისტროში ფუნქციონირებს. აღნიშნულ ნაშრომზე მუშაობის ფარგლებში გამოკითხულ ანალიტიკოსთა დიდი ნაწილი ბალტიისპირეთის ქვეყნებთან შედარებით კრიტიკულად აფასებს ჩეხეთის ციფრულ დიპლომატიასა და სტრატეგიულ კომუნიკაციებს.

## სამოქალაქო საზოგადოების დეზინფორმაციის წინააღმდეგ მიმართული საქმიანობა ჩეხეთის რესპუბლიკაში

ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები აქტიურობით გამოირჩევიან როგორც საფრთხეების დოკუმენტირების, ისე დეზინფორმაციის საფრთხესთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით. ამასთან, ჩეხეთში დეზინფორმაციასთან და საზოგადოებაზე მის მავნე ზეგავლენასთან ბრძოლაში აქტიურად არიან ჩართული როგორც აკადემიური წრეები, ისე კერძო სექტორი.

კვლევითი ცენტრებიდან, „უსაფრთხოების პოლიტიკის ევროპული ღირებულებების ცენტრი“ და „პრადის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი“ რეგულარულად ანალიზებენ დეზინფორმაციას და ექსპერტებსა და ფართო საზოგადოებას ინფორმაციას აწვდიან დეზინფორმაციის გამავრცელებელი ჯგუფებისა და მათი ნარატივების შესახებ. „ევროპული ღირებულებების ცენტრი“ 2015 წელს დაიწყო „კრემლის გუშავის“ პროგრამა,<sup>30</sup> რომლის ფარგლებშიც ამზადებს ანგარიშებს დეზინფორმაციის შესახებ, ასევე ააშკარავებს და ებრძვის რუსული ზეგავლენის ინსტრუმენტებს არა მხოლოდ ჩეხეთის რესპუბლიკაში, არამედ ვიშეგრადის ქვეყნებში, დასავლეთ ბალკანეთში და საქართველოში. საქართველოში ცენტრი ადგილობრივ არასამთავრობო და კვლევით ორგანიზაციებთან (GRASS, MDF, Civic Idea, Atlantic Council's DFRlab) ერთად გამოსცემს საინფორმაციო ბიულეტენს,<sup>31</sup> იკვლევს რუსული თუ სხვა მავნე გარე აქტორების ქმედებებს ქვეყანაში. ცენტრი საქართველოში პარტნიორებთან ერთად ასევე მუშაობს სამოქალაქო საზოგადოებაში კოორდინაციის გაზრდისა და ერთიანი ეროვნული მიდგომის წახალისების კუთხით. „ევროპული ღირებულებების კვლევითი ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს შესაბამის ინსტიტუტებთან ქვეყნის შიგნით და მასპინძლობს პრადის სტრატეგიული კომუნიკაციების სამიტს,<sup>32</sup> რაც „ევროპული ღირებულებების ცენტრსა“ და ჩეხეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის არსებული თანამშრომლობის მკაფიო მაგალითს წარმოადგენს. სამიტში მონაწილეობას მთელი მსოფლიოს მასშტაბით 150-ზე მეტი სპეციალისტი იღებს და ის აგრესიული დეზინფორმაციის კამპანიებთან ბრძოლის არსებული პოლიტიკის შემუშავებისა და გაუმჯობესების პლატფორმას წარმოადგენს. გარდა სამიტისა, ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო უწყებებთან, რაც მოიცავს დეზინფორმაციისა და ჰიბრიდული საფრთხეების საკითხებზე ფორმალურ და არაფორმალურ კომუნიკაციასა და შეხვედრებს. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში ხდება, ერთი მხრივ, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლა და, მეორე მხრივ, ცალკეული

<sup>30</sup> Kremlin Watch Program. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rdZY91>

<sup>31</sup> საინფორმაციო ბიულეტენი „საქართველოს გუშავი“ ხელმისაწვდომია <https://www.europeanvalues.cz/en/newsletters/georgia-watch-briefing/>

<sup>32</sup> სტრატეგიული კომუნიკაციების სამიტი. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sLjWsk>

ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, რომლებიც მათ შორის მოიცავს პრორუსული აქტორების გამოაშკარავებასა და მათ საპასუხოდ პროაქტიული ნაბიჯების გადადგმას.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიის შემდეგ, „პრადის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტმა“, კრემლის მიერ გამოყენებული ტაქტიკის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების, მედეგობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავების მიზნით, რამდენიმე პროექტი და ინიციატივა წამოიწყო. „საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით, ინსტიტუტი ახორციელებს პროექტს “ჩეხური არჩევნები დეზინფორმაციის ეპოქაში“, რომელიც საარჩევნო კამპანიის დროს დეზინფორმაციის გამავრცელებელ ჩეხურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ ახალ ამბებსა და სტატიებზე დაკვირვებას ისახავს მიზნად. ამ დროისთვის, „პრადის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტმა“ ჩეხეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო, ასევე ევროპარლამენტის არჩევნების მონიტორინგი განახორციელა.<sup>33</sup>

ჩეხური მედია და სამოქალაქო საზოგადოება აქტიურია ფაქტების გადამოწმებისა და საგამომიებო ჟურნალისტიკის მიმართულებითაც. სიყალბისა და ინფორმაციის მანიპულაციის გამოსავლენად აქტიურად მუშაობს ინიციატივა [www.manipulatori.cz](http://www.manipulatori.cz), რომელიც სამოქალაქო საზოგადოების სხვა აქტორების მიერ დეზინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე მომზადებული მასალის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და მხარდაჭერის პლატფორმის ფუნქციასაც ასრულებს.

„ბალტიელი ელფების“ ინიციატივით, დეზინფორმაციასთან და პროპაგანდასთან ბრძოლის მიზნით ინტერნეტ სივრცეში ჩეხი ენთუზიასტები გამოჩნდნენ, რომელთა საქმიანობაც ინტერნეტში დეზინფორმაციის გამავრცელებელთა მიგნებას, სოციალურ ქსელებში ტროლების გამოვლენას/ბრძოლას და ჯაჭვური წერილების მონაცემთა ბაზის შედგენას მოიცავს, რომელიც ჩეხეთის რესპუბლიკაში დეზინფორმაციის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

სკოლებში მედია წიგნიერების ამაღლების მიზნით, ორგანიზაციამ „ადამიანები გაჭირვებაში“ სკოლებში წამოიწყო „ერთი მსოფლიოს“ პროექტი. აღნიშნული პროგრამა გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე დასავლურ საზოგადოებებში დეზინფორმაცია მწვავე საკითხად ჩამოყალიბდებოდა. თუმცა, ყალბი ახალი ამბებისა და ინფორმაციით მანიპულირების გამოჩენასთან ერთად, პროექტმა უფრო დიდი მნიშვნელობა შეიძინა. პროექტი მიზნად ისახავს ახალგაზრდებში ინფორმაციის კრიტიკული აღქმის უნარ-ჩვევების დახვეწას. პროექტის ფარგლებში შეიქმნა ვებგვერდი JSNS.CZ,<sup>34</sup> რომელიც მასწავლებლებს უზრუნველყოფს საინტერესო შინაარსის აუდიოვიზუალური გაკვეთილებით და ის დოკუმენტური ფილმებისა და მეთოდოლოგიური მასალებისგან შედგება. ამ დროისთვის,

<sup>33</sup> „პრადის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტი“. დეზინფორმაციის შესახებ არსებული პროგრამები. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/336drnf>

<sup>34</sup> „ერთი მსოფლიო სკოლაში“. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3rdCEbI>

პროექტი პირველი და მეორე საფეხურის 3,600-მდე სკოლას მოიცავს. კანონმდებლობით, მედიაწიგნიერება ჩეხეთის სკოლების სასწავლო პროგრამის ნაწილია და მასწავლებლები ვალდებული არიან მოსწავლეებს აღნიშნულ კომპონენტზე გაკვეთილები ჩაუტარონ. თუმცა, მედიაწიგნიერების ეროვნულ სასწავლო პროგრამაში შეტანის მიუხედავად, აღნიშნულ საკითხზე არც სათანადო კურსები და არც შესაბამისი სასწავლო მასალა ხელმისაწვდომი არ არის. ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“-ს მიერ დაწყებული პროექტი საჭირო მასალების დეფიციტს აბალანსებს და ამჟამად, სკოლებისა და მასწავლებლების უმრავლესობა თანამშრომლობს აღნიშნულ ორგანიზაციასთან.

დეზინფორმაციის შესახებ ჩატარებული კვლევებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის გადადგმული ნაბიჯების თვალსაზრისით, აღსანიშნავია მასარიკის უნივერსიტეტისა და კარლის უნივერსიტეტის საქმიანობა. მასარიკის უნივერსიტეტის სოციალური კვლევების ფაკულტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა კათედრაზე განხორციელდა პრორუსული დეზინფორმაციის წყაროების მიერ გამოყენებული მანიპულაციის ტექნიკების ანალიზი. მასარიკის უნივერსიტეტის სტუდენტებმა ასევე დაიწყეს სკოლის მოსწავლეების მოსამზადებელი პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ცდილობენ ახალგაზრდა თაობის ცნობიერების ამაღლებას მედიაწიგნიერების, კრიტიკული აზროვნების და ფაქტების გადამოწმების მნიშვნელობის თაობაზე. კარლის უნივერსიტეტმა, ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრთან თანამშრომლობით ჩაატარა სრული სემესტრული კურსი დეზინფორმაციის შესახებ.

„სემანტიკური ხედვები“ პრადამი მდებარე მონაცემთა ანალიზისა და რისკების შეფასებაზე მომუშავე კერძო კომპანიაა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩეხეთის რესპუბლიკაში პრორუსული დეზინფორმაციის კვლევასა და დოკუმენტირებაში. კომპანიას გააჩნია შესაძლებლობა, რომ რეალურ დროში უზრუნველყოს ინტერნეტში განთავსებული ახალი ამბების 90%-ის ანალიზი და სინთეზი. ამავე კომპანიამ გამოსცა რამდენიმე კვლევა, სადაც სემანტიკური და კონტექსტის ანალიზის დახვეწილი მეთოდების გამოყენებით მილიონობით რუსულენოვანი და ინგლისურენოვანი სტატიებია შესწავლილი.<sup>35</sup>

## დეზინფორმაცია ლიეტუვაში

ლიეტუვა, თავისი წარსულის, რუსეთთან გეოგრაფიული სიახლოვისა და ქვეყანაში რუსული ეთნიკური უმცირესობის (დაახლოებით 5%) არსებობის გამო, კრემლის დეზინფორმაციული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს წარმოადგენს. 2014 წელს უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შემდეგ კი, აღნიშნული მიმართულებით რუსეთის ძალისხმევა განსაკუთრებით გაძლიერდა, რისი ერთ-ერთი მიზეზიც ლიეტუვის საგარეო პოლიტიკური პოზიციები გახდა - ლიეტუვა რეგიონში რუსეთიდან მომდინარე აგრესიული ქმედებების წინააღმდეგ ყველაზე პრინციპულ სახელმწიფოთა შორისაა, რუსეთზე სანქციების

<sup>35</sup> „სემანტიკური ხედვები“. კვლევები ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NuHi2r>

შენარჩუნების ძლიერი მხარდამჭერია და NATO/ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოებას ადვოკატირებს.

ლიეტუვის 2020 წლის საფრთხის შეფასების დოკუმენტის თანახმად,<sup>36</sup> რუსეთი ლიეტუვაში პროპაგანდას სამართლებრივი პროცესების დისკრედიტაციისთვის იყენებს, კრემლის მიერ საინფორმაციო პოლიტიკა უმაღლეს დონეზეა კოორდინირებული, ხოლო მისი განხორციელება პროპაგანდისა და დეზინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელების გზით ხდება. ლიეტუვაში კრემლის პროპაგანდა, დასავლეთს დაღმავალ ძალად, ხოლო რუსეთს მის უკეთეს ალტერნატივად წარმოაჩენს. რუსული პროპაგანდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დაკნინება და ლიეტუვის მიერ ანტი-საბჭოთა წინააღმდეგობის მოძრაობების (როგორებიცაა 1941 წლის აჯანყება, ანტი-საბჭოთა სამხედრო წინააღმდეგობის მოძრაობა) დისკრედიტირება წარმოადგენს. ამასთან, პროპაგანდის ფარგლებში, პრორუსული ჯგუფების მიერ ლიეტუვა წარმოჩინდება როგორც აშშ-ის/NATO-ს მორჩილი სახელმწიფო, უმნიშვნელო და ირაციონალურად მოქმედი ქვეყანა, რომელიც ისტორიას აყალბებს და რუსოფობიურ პოლიტიკას აწარმოებს, თუმცა სინამდვილეში მისი არსებობა დიდწილად სწორედ რუსეთზეა დამოკიდებული.

ლიეტუვაში რუსული პროპაგანდისა და დეზინფორმაციის გამავრცელებელ მთავარ აქტორებს კრემლის მიერ დაფინანსებული Baltnews.lt, Sputniknews.ru და Sputniknews.lt წარმოადგენენ, რომლებიც ყალბ ამბებს და რუსეთის მხარდამჭერ ნარატივებს რუსულ და ლიეტუვურ ენებზე ავრცელებენ. ლიეტუვაში პროპაგანდის გამავრცელებელ მედიებს ასევე მიეკუთვნებიან Riafan.ru, News-front.info, Rubaltic.ru, Ria.ru, Sputniknews.lt, Rambler.ru და ა.შ.

ქვეყანაში რუსული პროპაგანდის ონლაინ სივრცეში გამავრცელებლების მიერ გამოყენებულ ტექნიკებს შორის აღსანიშნავია:<sup>37</sup>

- სოციალურ ქსელებში ყალბი ანგარიშების შექმნა
- იმგვარი Facebook-ჯგუფების შექმნა, რომლებიც ადამიანებს პოლიტიკური საკითხების ან სხვა ფასეულობების გარშემო (მაგალითად, იარაღის მომხრე ჯგუფები, ანტი-რასისტები) აერთიანებს
- ე.წ. „ტროლების ქარხნების“ მობილიზება და ცვლაში მომუშავე პირების დაქირავება, რომლებიც სოციალურ ქსელებში მასობრივ დეზინფორმაციულ კამპანიებს აორგანიზებენ და ხშირად ქვეყნის გარედან მუშაობენ; „ტროლების ქარხნებს“ შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კრემლთან დაკავშირებული „ინტერნეტის კვლევის სააგენტო“ (Internet Research Agency)

<sup>36</sup> State Security Department of the Republic of Lithuania. 2020. National Threat Assessment. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dXyLUf>

<sup>37</sup> Weitz, R. 2020. Moscow's Disinformation Offensive During COVID-19: The Case of Lithuania. Hudson Institute. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3syF4BZ>



- ავტომატიზებული სოციალური მედიის ანგარიშების („ბოტების“) გამოყენება, რომლებიც, სპეციალურად შექმნილი ალგორითმების მეშვეობით, გზავნილებს სწრაფად ავრცელებენ და სხვა, პოზიტიური ნარატივების გადაფარვა შეუძლიათ
- მიკროტარგეტირება ინფორმაციის სპეციფიკურ ჯგუფებში გავრცელების გზით (მაგალითად, ერთი შეტყობინების გაგზავნა მემარჯვენე პოპულისტებთან და მეორე გზავნილის მემარცხენე ანარქისტებისკენ მიმართვა)
- ყალბი ამბების გავრცელებისთვის სივრცის შესაქმნელად მთავრობის მიერ გავრცელებული ინფორმაციისადმი, ასევე დამოუკიდებელი ჟურნალისტებისა და დამკვიდრებული მედიისადმი ნდობის შემცირება
- იმის მტკიცება, რომ ობიექტური ფაქტები არ არსებობს და სიმართლე ფარდობითი ცნებაა
- ინტერნეტ-კონფლიქტების გამოწვევა/გამწვავება სამიზნე აუდიტორიებში განხეთქილების შექმნისა და მათი პოლარიზაციის მიზნით

### როგორ რეაგირებენ საფრთხეზე ლიეტუვის მთავრობა და სამოქალაქო საზოგადოება?

სხვადასხვა ფაქტორთან ერთად, კალინინგრადის ოლქსა და ბელარუსს შორის სტრატეგიული მდებარეობის გამო, ლიეტუვას რუსული სამხედრო აგრესიის მიმართ უსაფრთხოების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები აქვს. ამის გამო, ლიეტუვა დასავლეთის მიერ რუსეთიდან მომავალი საფრთხის გაცნობიერების მიმართულებით კრემლის მიერ ყირიმის ანექსიამდეც მუშაობდა. ლიეტუვა ამჟამად რუსული დეზინფორმაციისა და მავნე ზეგავლენის წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლი სახელმწიფოა.

2015 წელს, ქვეყანა ევროპის საგარეო ქმედებათა სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების ოპერატიული სამუშაო ჯგუფის (StratCom Task Force – EU vs Disinformation) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი იყო. ამასთან, 2018 წელს, ლიეტუვამ დეზინფორმაციის წინააღმდეგ ევროპული სამოქმედო გეგმა დააინიცირა. სამოქმედო გეგმა დეზინფორმაციის წინააღმდეგ კოორდინირებული მოქმედების მნიშვნელობას უსვამს ხაზს და ამ კუთხით კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას გულისხმობს.<sup>38 39 40</sup> რაც შეეხება საკუთრივ ლიეტუვაში გატარებულ ღონისძიებებს, ქვეყნის მიერ რუსული პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული ზომები საერთაშორისო მასშტაბით სამაგალითოდაა მიჩნეული.<sup>41</sup> რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეები ლიეტუვის საფრთხის შეფასების სახელმწიფო დოკუმენტებში

<sup>38</sup> MFA of Lithuania. 2020. Foreign Minister Linas Linkevičius spoke at the STRATCOM Summit conference. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dUKRxF>

<sup>39</sup> MFA of Lithuania. 2019. L. Linkevičius: Strengthening EU resilience to disinformation will remain Lithuania's priority. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3sFLE9A>

<sup>40</sup> European Commission: 2018. Action Plan Against Disinformation. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3vjAp9f>

<sup>41</sup> Department of State. Integrated Country Strategy: Lithuania. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3kwBeGC>

მკაფიოდაა ასახული,<sup>42</sup> რაც მთავრობის მიერ გადადგმულ პრაქტიკულ ნაბიჯებშიც აისახება. კერძოდ:<sup>43</sup>

- ქვეყანამ 2015 წელს კიბერუსაფრთხოების ეროვნული ცენტრი (NCSC)<sup>44</sup> შექმნა, რომელიც კიბერუსაფრთხოების ეროვნული პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოა და უსაფრთხოებისა და კომუნიკაციების დაცვის სამსახურის ფუნქციებს ითავსებს. ცენტრის ფუნქციებში შედის კიბერუსაფრთხოების საკითხებზე ინფორმაციის გავრცელება, კვლევა და ანალიზი. 2017 წელს კი, ქვეყნის კანონში კიბერუსაფრთხოების შესახებ ცვლილებების შეტანით, საინფორმაციო უსაფრთხოების მართვის ცენტრალიზება და ეროვნული ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების მონიტორინგის ინტეგრირება მოხდა.
- ლიეტუვის ხელისუფლებამ ასევე სცადა, შეეზღუდა რუსული მედიის გავლენა საზოგადოებრივ სივრცეში, რისთვისაც დროებით ლიეტუვაში რუსული ტელევიზიის (RTR Planeta) მაუწყებლობა შეიზღუდა.<sup>45</sup> 2019 წლის აპრილში კი, ლიეტუვის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ცვლილებებს, რომლებიც რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კომისიას (LRTK) საშუალებას მისცემს, სწრაფად შეაჩეროს სატელევიზიო არხების მაუწყებლობა ეროვნული უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში. ცვლილებების მიხედვით, აღნიშნულ ორგანოს მაუწყებლობის შეჩერება, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, სამი დღის ვადით შეუძლია.<sup>46</sup> 2020 წელს კი ქვეყანამ რუსულ სახელმწიფო ტელეკომპანია Russia Today-ს ეთერი შეუწყვიტა.<sup>47</sup>
- ლიეტუვის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფარგლებში შექმნილია სტრატეგიული კომუნიკაციების ჯგუფი, რომელიც დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე რეგულარულად აქვეყნებს საინფორმაციო ბიულეტენს (Lithuanian Diplomatic Playbook, Weekly News from Lithuania) და სოციალურ მედიაშიც აქტიურადაა წარმოდგენილი.<sup>48</sup>
- რუსული აგრესიის, დეზინფორმაციისა და კრემლიდან მომდინარე სხვა მავნე გავლენების საკითხი საზოგადოების ყველა დონეზე განიხილება. თავდაცვის სამინისტროს მიერ მოქალაქეებისთვის რამდენიმე სახელმძღვანელოც კი გამოქვეყნდა, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ქვეყანა რუსულ სამხედრო აგრესიას.<sup>49</sup>
- ლიეტუვის ხელისუფლება ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ საზოგადოების ინფორმირებას ცდილობს. იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული

<sup>42</sup> Ministry of National Defence of Republic of Lithuania. 2017. White Paper. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NFmp8R>

<sup>43</sup> The Polish Institute of International Affairs. 2019. The Lithuanian Model in the Fight against Disinformation. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2O862S6>

<sup>44</sup> National Cyber Security Centre. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3pY4Xte>

<sup>45</sup> Rferl. 2016. Lithuania Suspends Russian TV After Anti-U.S. Comments. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3q36pKP>

<sup>46</sup> Lrt. 2019. Lithuanian Media Watchdog Given More Leeway to Respond to Harmful. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r3Mcpu>

<sup>47</sup> MoscowTimes. 2020. Lithuania Bans Russia's RT Television Channels. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qbuvDa>

<sup>48</sup> LT MFA StratCom. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b4Y996>

<sup>49</sup> Ministry of National Defence of Lithuania. 2016. Ką turime žinoti apie pasipriešinimą. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3b43i0R>

რესურსი დეზინფორმაციის წინააღმდეგ საბრძოლველად საკმარისი არ არის, ინიციატივები, რომლებიც ამ პროცესში საზოგადოების ფართო ფენების ჩართვას ითვალისწინებს, მეტად სასარგებლოა. ასეთ ინიციატივებს განეკუთვნება „ელფების მოძრაობა“, რომელიც ათასობით ლიეტუველი მოხალისისგან შემდგარი ჯგუფია და მიზნად რუსული ტროლების იდენტიფიცირებასა და მათ წინააღმდეგ ბრძოლას ისახავს. „ელფების“ მთავარი ამოცანა ყალბი ინფორმაციის გავრცელების თავიდან ასაცილებლად ყალბი ონლაინ ანგარიშების გამოვლენაა. აღნიშნული ამოცანის განსახორციელებლად შეიქმნა პლატფორმა Demaskuok.lt, რომელშიც გაერთიანებულია როგორც სახელმწიფო ინსტიტუტები, ასევე ჟურნალისტები და IT პროფესიონალები.<sup>50</sup>

- დეზინფორმაციასთან ბრძოლის მხრივ ლიეტუვის ქმედებების ეფექტურობის ერთ-ერთი მტკიცებულება დიდი რაოდენობით გამოვლენილი ყალბი ახალი ამბები და სოციალური ქსელების ცრუ ანგარიშებია.
- ლიეტუველი პარლამენტარებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიერ მიღწეულ წარმატებებს შორის, აღსანიშნავია გერმანიის სპორტული საქონლის მწარმოებელი Adidas-ის წინააღმდეგ განხორციელებული ერთობლივი კამპანია, რაც Adidas მიერ ლიეტუვის ბაზარზე სსრკ-ის წარწერიანი სპორტული ტანსაცმლის წარდგენას მოჰყვა. საზოგადოების უარყოფითი რეაქციის შემდეგ კომპანიას პროდუქციის ქვეყნიდან გაწვევა მოუხდა.<sup>51</sup>
- ლიეტუვა NATO-ს კომუნიკაციების ცენტრის (STRATCOM COE) მხარდამჭერი სახელმწიფო და ამავედროულად, ჰიბრიდული საფრთხეების შესახებ შექმნილი ფინური კომუნიკაციების ცენტრის წევრია.<sup>52</sup>

ამასთან, სამთავრობო სტრუქტურებში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის თემებზე სტრატეგიული კომუნიკაციების ოთხი დეპარტამენტი მუშაობს, რომელთაგან ერთი პროცესს კოორდინირებას უწევს.

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კუთხით ეფექტიანი სამუშაო პროცესის განვითარება ლიეტუველების მიერ საკითხის მატერიალურ ჭრილში გაანალიზებამ გახადა შესაძლებელი. მათ მიერ გაკეთებული დასკვნით, დეზინფორმაციასთან გამკლავება დიდ ფინანსურ რესურსებთან და კოორდინირებულ მუშაობასთანაა დაკავშირებული, რადგან აღნიშნული მიმართულებით, დეზინფორმაციის გამავრცელებლესა და მათ წინააღმდეგ მოქმედ აქტორებს შორის უპირატესობა, როგორც წესი, მტრულად განწყობილი მხარის სასარგებლოდაა. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ლიეტუველი ინიციატივა Debunk.eu-ს ხელმძღვანელის, ვიქტორას დაუკსასის მიხედვით, ყალბი ამბების გამავრცელებლები ხშირად კარგად არიან მომზადებულნი, გააჩნიათ მენეჯმენტის რგოლი და სტრატეგია, ანაზღაურებაც მაღალი აქვთ და ძირითადად განვითარებადი ქვეყნებიდან არიან, სადაც მუშახელი იაფია. საპირისპირო მხარეს მომუშავე პატარა ორგანიზაციები კი, მართალია, გარკვეულ შედეგს აღწევენ, თუმცა მათი წარმატება მოკრძალებულია, რაზეც გავლენას თანამშრომლობის დაბალი ხარისხი და მათ მიერ გაწეული ძალისხმევის ფრაგმენტულობა

<sup>50</sup> Debunk.eu. About Elves. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3r6QBbd>

<sup>51</sup> AP. 2018. Adidas withdraws Soviet-themed shirt in Lithuania. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2NQfpFZ>

<sup>52</sup> Kremlin Watch. 2021. Lithuania. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2OeM5sw>

ახდენს - აღნიშნული ორგანიზაციები ერთმანეთს კონკურენტებად აღიქვამენ და გადარჩენისთვის იბრძვიან. აღნიშნულს ემატება ისიც, რომ დეზინფორმაციის რეალურ დროში აღმოჩენა რთული და, ამასთან, ძვირია, რადგან ინფორმაციის მონიტორინგის მიზნით შექმნილი კომპიუტერული პროგრამების ფასი მაღალია. ხოლო სწორი ინფორმაციის საზოგადოების ფართო მასებამდე მიტანა დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც სამუშაო პროცესში ფინანსური რესურსების საჭიროებას კიდევ უფრო ზრდის. დეზინფორმაციასა და პროპაგანდასთან ბრძოლის ლიეტუვეური მოდელი მსგავსი გამოწვევების გათვალისწინებით შეიქმნა და ის სამუშაო პროცესში მთავრობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ჟურნალისტების, IT სპეციალისტებისა და ათასობით მოხალისე „ელფის“ ძალისხმევას გაერთიანებას გულისხმობს, რაც უზრუნველყოფს, რომ საქმიანობის დუბლირება არ მოხდეს და რესურსები უფრო ეფექტიანად განაწილდეს.

ლიეტუვაში დეზინფორმაციასთან ბრძოლის ძალისხმევას ქოლგა-ორგანიზაცია, ინიციატივა Debunk.eu (ლიეტუვეურად Demaskuok) უძღვება. Debunk.eu საინფორმაციო სააგენტო Delfi-სა და Google-ის თანამშრომლობით შეიქმნა. Debunk.eu-ის ინიციატივის ფარგლებში დეზინფორმაციის წინააღმდეგ საპასუხო ზომები სხვადასხვა მიმართულებით მიიღება. ონლაინ სივრცეში ინფორმაციის მონიტორინგი მიმდინარეობს და კეთდება ყოველდღიური, ყოველკვირეული, ყოველთვიური და კვარტალური ანგარიშები. ამასთან, კამპანიური სახის დეზინფორმაციის საწინააღმდეგოდ სწრაფი რეაგირების ღონისძიებები ტარდება, ხოლო საზოგადოებაზე დეზინფორმაციის ეფექტების გავლენა, სტრატეგიული კომუნიკაციების გავლენასთან შეფარდებით იზომება. Debunk.eu-ს მეშვეობით, დეზინფორმაციის ანალიზი გრძელვადიან პერსპექტივაში ხდება და მტრული ნარატივების საწინააღმდეგოდ მუშაობა საზოგადოების მედიაწიგნიერიების ამაღლების კუთხითაც ხორციელდება.

Debunk.eu-ს უმთავრეს ღირსებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და სამთავრობო სტრატეგიებს შორის თანამშრომლობის მაღალ ხარისხთან ერთად, დეზინფორმაციის მონიტორინგისთვის შექმნილი და მუდმივად განახლებადი, დახვეწილი კომპიუტერული პროგრამა წარმოადგენს. პროგრამას ინფორმაციის მონიტორინგი ავტომატურ რეჟიმში ნებისმიერ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში (Facebook, Twitter, Instagram) 23 ენაზე შეუძლია (მათ შორის, ქართულად). ამჟამად, Debunk.eu-ს მონიტორინგის პროგრამას 6 ქვეყანაში იყენებენ. პროგრამა ყოველდღიურად 30,000 წყაროს ამოწმებს და ყალბი ამბის აღმოჩენა გამოქვეყნებიდან 2 წუთში შეუძლია.<sup>53</sup> ანალოგებისგან განსხვავებით, Debunk.eu-ს მონიტორინგის კომპიუტერული პროგრამა ავტომატიზაციის გაცილებით მაღალი ხარისხით ხასიათდება. ამასთან, პროგრამის განახლებაზე სპეციალისტების გუნდი რეგულარულად მუშაობს, რის გამოც, მონიტორინგის აღნიშნული ხელსაწყო ყოველ კვირას ახლდება და კიდევ უფრო იხვეწება.

<sup>53</sup> Delfi. 2020. Debunk EU enters Latvian and Estonian field of disinformation. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2PhpUCB>

Debunk.eu-ს ავტომატური მონიტორინგის ხელსაწყოს ანალიტიკოსები სხვადასხვა სახის ანგარიშის დასაწერად იყენებენ. ანგარიშის ტიპისა და მასში გამოსაყენებელი მონაცემების მასშტაბის მიხედვით, კომპიუტერულ პროგრამას შესაბამისი ინფორმაციის მოპოვების ბრძანება ეძლევა. პროგრამის მიერ მონაცემების მოპოვების შემდეგ კი, ანალიტიკოსები ინფორმაციას ნარატივების მიხედვით არა ექსელის დოკუმენტებში, არამედ საკუთრივ პროგრამის სისტემაშივე აჯგუფებენ. აღნიშნულის შემდეგ პროგრამა ანგარიშისთვის საჭირო ილუსტრაციებს, გრაფებსა და დიაგრამებს ავტომატურად ქმნის, ეს ყველაფერი კი ანგარიშის წერის პროცესს უფრო მარტივსა და სწრაფს ხდის, ხოლო მკითხველებისთვის მომზადებული რეპორტები უფრო იოლად აღსაქმელია. ამასთან, მონიტორინგის პროგრამის მეშვეობით შესაძლებელია კონკრეტული ინფორმაციის გავრცელების მასშტაბების გაზომვა და ამგვარად, საზოგადოებაზე მისი შესაძლო გავლენის დადგენაც. Debunk.eu-ს ინიციატივის ფარგლებში მომზადებული ანგარიშების შესახებ მედიისთვის სპეციალური პრესკონფერენციები, ხოლო პოლიტიკოსებისთვის ბრიფინგები ეწყობა. ანგარიშები საინფორმაციო სააგენტოებსა და სამთავრობო უწყებებს ეგზავნება. მედიას ანგარიშში განხილული საკითხი საზოგადოების ფართო მასებამდე მიაქვს, ხოლო რელევანტური სამთავრობო უწყებები, მასზე დაყრდნობით, სხვადასხვა საკითხზე საზოგადოებისათვის წერილობით ან ვიდეო სახის განმარტებას ამზადებენ.

Debunk.eu-ს სამუშაო პროცესი შემდეგი ეტაპებისგან შედგება.<sup>54</sup>

1. კომპიუტერული სისტემა ავტომატურად სტატის სხვადასხვა ენაზე ამონიტორინგებს.
2. პლატფორმა ნარატივებსა და სხვადასხვა მონაცემებს ავტომატურად აჯგუფებს და მათ სხვადასხვა კატეგორიაში ანაწილებს.
3. ხელოვნური ინტელექტი (AI), მანამდე ცნობილ დეზინფორმაციულ ნარატივებზე დაყრდნობით, პოტენციური დეზინფორმაციის აღმოჩენას ორ წუთში ახერხებს.
4. ელფები და ფაქტების გადამმოწმებლები პოტენციურად ყველაზე უფრო მავნე ნარატივების გამავრცელებელ სტატიებს ამოწმებენ.
5. ელფები და ფაქტების გადამმოწმებლები დეზინფორმაციის რეალურ შემთხვევებს სისტემაში ნიშნავენ.
6. ჟურნალისტებს აღნიშნული სტატიების შესახებ შეტყობინება ავტომატურად მისდით.
7. ჟურნალისტები წერენ სტატიებს, რომელშიც ცრუ ინფორმაციის გამოამჟღავნება ხდება.
8. სტატიები მოსახლეობის ფართო მასებისთვის მეინსტრიმული მედიით ვრცელდება.

იმისათვის, რომ დეზინფორმაციული კამპანიების წინააღმდეგ მიღებული ზომები ეფექტიანი იყოს, Debunk.eu-სა და ადგილობრივ სტრატეგომებს შორის რეგულარული შეხვედრები იმართება. აღნიშნულ შეხვედრებზე მხარეები ერთმანეთს საინფორმაციო სივრცეში არსებული ვითარების შესახებ საკუთარ ხედვებს აცნობენ, რის შემდეგაც კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად ოპტიმალური გადაწყვეტილებები მიიღება. სამუშაო შეხვედრებს მხარეები

<sup>54</sup> Chivot, E. 2019. 5 Q's for Viktoras Daukšas, Head of Debunk.eu. Center for Data Innovation. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3dTS7JZ>

სხვადასხვა მიზნით იყენებენ, მათ შორის, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ფუნქციების გადანაწილებისა და საქმიანობის კოორდინირების მეშვეობით, მათ მიერ გაწეული ძალისხმევა დივერსიფიცირებული იყოს და სხვადასხვა აქტორის მიერ ერთი და იგივე საქმის დუბლირება არ მოხდეს. ამ კუთხით, ლიეტუვური გამოცდილება აჩვენებს, რომ სახელმწიფოს მიერ დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საწინააღმდეგოდ მუშაობის პოლიტიკური ნების არსებობის პირობებშიც კი, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მუშაობა მომგებიანია, რადგან მსგავს ორგანიზაციებში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა ან შექმნილი გამოწვევებისადმი გამკლავება უფრო სწრაფად და მარტივად ხდება. ამ მიზეზების გამო, ლიეტუვის მთავრობის სტრატეგიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის საკომუნიკაციო არხები ყოველთვის ხელმისაწვდომია, რაც სამუშაო პროცესის კიდევ უფრო დახვეწის შესაძლებლობას იძლევა.

Debunk.eu-ს ერთ-ერთ სამუშაო მიმართულებას საზოგადოებაზე პოტენციურად მნიშვნელოვანი გავლენის მქონე დეზინფორმაციული კამპანიის საწინააღმდეგოდ სწრაფი რეაგირების ღონისძიებების გატარება წარმოადგენს. ინტერნეტ სფეროში მსგავსი საფრთხის იდენტიფიცირების შემდეგ ანალიტიკოსთა გუნდი მთავრობის სტრატეგიებს უკავშირდება. ერთობლივი მუშაობის შედეგად კი, კონკრეტული ყალბი ამბის გავლენისა და გავრცელების შესამცირებლად, საზოგადოებას მასზე ინფორმაცია მყისიერად მიეწოდება, რითიც საფრთხის თავიდან აცილება ხდება.

Debunk.eu-ს საქმიანობის ეფექტიანობის გასაზომად ანალიტიკოსები გამოაშკარავებული დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბს ზომავენ. ამ მიზნით, აქცენტი კეთდება არა ფოკუს ჯგუფებზე (ორგანიზაციაში ამ მეთოდს მოძველებულად მიიჩნევენ), არამედ იმაზე, თუ ადამიანთა რა რაოდენობა გაეცნო ცრუ ინფორმაციას. Debunk.eu-ში აცხადებენ, რომ დეზინფორმაციის გავრცელების მასშტაბი მოსახლეობის ფართო მასებზე მის გავლენასთან პირდაპირ კორელაციაშია.

ლიეტუვაში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, მოხალისე „ელფები“ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. მოხალისეების რაოდენობა 5000-ზე მეტია და მათი საქმიანობა პრორუსული ტროლების, ყალბი ანგარიშების გამომჟღავნებასა და ჟურნალისტებისათვის მასალის წყაროების გადამოწმებაში დახმარების აღმოჩენას მოიცავს. მოხალისეებმა მუშაობა 2014 წელს, ყირიმის ანექსიის შემდეგ, რუსული აგრესიისგან თავის დაცვის კამპანიის ფარგლებში დაიწყეს. ამასთან, დეზინფორმაციასთან ეფექტიანი ბრძოლისათვის Debunk.eu მიზნად ისახავს მავნე შინაარსის მქონე ინფორმაციის მყისიერად, „ჩანასახშივე“ აღმოჩენას. იმის გამო, რომ ყალბი ამბები სხვადასხვა მედია პლატფორმაზე ვრცელდება, ამბის აღმოჩენის შემდეგ ლიეტუველები საკითხზე მასალას სწრაფად ამზადებენ და შემდეგ საინფორმაციო საშუალებებს სწორი ინფორმაციის გასავრცელებლად უზრუნველნიან. სწორედ ოპერატიულობა განსაზღვრავს მუშაობის ეფექტიანობას, რადგან იმ შემთხვევაში, თუ პირველწყაროსთან გამკლავება სათანადო სისწრაფით ვერ მოხერხდება, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა გამწვანდება.

დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართ საზოგადოების მედეგობის გასაზრდელად მოსახლეობის მედიაწიგნიერებას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ამ კუთხით, ლიეტუვაში მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს როგორც მოსწავლეებთან სკოლებში, ისე ფართო საზოგადოებასთან ინტერნეტ სივრცეში. საზოგადოების მედიაწიგნიერების ასამაღლებლად სხვადასხვა მიდგომა გამოიყენება, მათ შორის, სპეციალურად შექმნილია კომპიუტერული თამაშები/ტესტები, რომელთა მეშვეობითაც ახალი ინფორმაციის მიღების პროცესი მომხმარებლისთვის სახალისოა. Debunk.eu-ს მიერ შექმნილი ერთ-ერთი ასეთი თამაშის მეშვეობით, 15 წუთის განმავლობაში ადამიანის მედიაწიგნიერების გაზრდა 20%-ით არის შესაძლებელი, როგორც ამას ლიეტუველი ექსპერტები აცხადებენ.

ლიეტუვაში მცხოვრები ეთნიკურად რუსი უმცირესობის გამო, საზოგადოების ამ ნაწილზე რუსული სახელმწიფო პროპაგანდის გავლენა ვილნიუსისთვის გამოწვევას წარმოადგენს. შედეგად, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით ქვეყანაში ეთნიკური უმცირესობებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდების კუთხით სპეციალური პროექტები მიმდინარეობს. ქვეყანაში დეზინფორმაციისა და პროპაგანდის მიმართულებით მუშაობის გამოცდილების მქონე სამოქალაქო საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კი ასევე უნდა აღინიშნოს შემდეგი ორგანიზაციები: 1) Eastern European Studies Centre (EESC); 2) National Defence Foundation; 3) Institute of International Relations and Political Science (IIRPS).

## რეკომენდაციები

ლიეტუვასა და ჩეხეთის რესპუბლიკაში რუსეთიდან მომდინარე ჰიბრიდული საფრთხეების, მათ შორის დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საპასუხოდ სახელმწიფო და არასამთავრობო დონეზე მნიშვნელოვანი ცვლილებები განსაკუთრებით 2014 წელს უკრაინის კონფლიქტის შემდეგ განხორციელდა. ორივე ქვეყანაში, ერთი მხრივ, სამთავრობო დონეზე გამოიყო შესაბამისი უწყებები, რომელთა საქმიანობაც კრემლიდან მომდინარე დეზინფორმაციული კამპანიების პრევენცია და საზოგადოებრივი იმუნიტეტის ზრდაა, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ დონეზე გაჩნდა და გაძლიერდა ინიციატივები, რომლებიც რუსულ მავნე გავლენებს ავლენენ. ორივე ქვეყანაში დეზინფორმაციის საწინააღმდეგო ბრძოლის ფუნდამენტს სახელმწიფო და სამოქალაქო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და კოორდინაცია წარმოადგენს, რასაც ხშირად „ერთიან ეროვნულ მიდგომასაც“ უწოდებენ (whole-of-society approach). აღნიშნული მიდგომით, დეზინფორმაციასთან ბრძოლა არის უფრო სწრაფი, პროაქტიული და ეფექტიანი.

ჩეხეთისა და ლიეტუვის დეზინფორმაციასთან ბრძოლის პოლიტიკა ერთ-ერთ გამორჩეულ და საქართველოსთვის სასარგებლო პრაქტიკას წარმოადგენს. ამდენად, მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდეს:

## საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიმართ რეკომენდაციები:

- სამთავრობო დონეზე შეიქმნას უწყებათაშორისი სააგენტო, რომელიც უზრუნველყოფს დეზინფორმაციასთან დაკავშირებული საფრთხეების მუდმივ მონიტორინგს და შეფასებას, ან გაძლიერდეს უკვე არსებული შესაბამისი ორგანო. სააგენტო უნდა წარმოადგენდეს სადისკუსიო პლატფორმას, რომელშიც მონაწილეობას სხვადასხვა სამთავრობო უწყებები და სამინისტროები, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოებისა და დეზინფორმაციის საკითხებზე მომუშავე ექსპერტთა ფართო ჯგუფები მიიღებენ.
- შესაბამისმა უწყებებმა (მათ შორის სამთავრობო დონეზე შექმნილმა სააგენტომ და/ან უსაფრთხოების სამსახურებმა) გამოაქვეყნონ საჯარო ანგარიშები მავნე დეზინფორმაციის ნარატივების შესახებ და გამოაშკარაონ დეზინფორმაციის გამავრცელებელი ძირითადი ჯგუფების აქტივობები.
- უსაფრთხოების სამსახურებმა გააუმჯობესონ იმ რადიკალური ჯგუფების მონიტორინგი, რომლებიც კრემლის მხარდამჭერი დეზინფორმაციის დღის წესრიგს ქმნიან, მათ შორის მათი ღიად დასახელების გზით.
- სამინისტროებში არსებულმა სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტებმა გააუმჯობესონ კომუნიკაცია და მიიღონ პროაქტიული ზომები დეზინფორმაციის შედეგების პრევენციის/შემცირების მიზნით.
- საქართველოს მთავრობამ და რელევანტურმა უწყებებმა გააქტიურონ თანამშრომლობა ევროკავშირის/NATO-ს სტრატეგიული კომუნიკაციების სააგენტოებთან, მათ შორის EEAS East STRATCOM-თან, NATO STRACOM COE-თან და ფინეთის ჰიბრიდული საფრთხეების წინააღმდეგ არსებულ COE-თან. მიმართონ ძალისხმევა, რათა საქართველო გახდეს ევროკავშირის/NATO-ს ეგიდით შექმნილი სახელმწიფოთაშორისი სააგენტოების დამკვირვებელი წევრი. ამ პარტნიორობის ფარგლებში, იმუშაონ Facebook-თან, Google-თან და სხვა საინფორმაციო გიგანტებთან პლატფორმებზე დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლისა და მათი გამჭვირვალობის გაზრდის კუთხით.
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებმა ღიად უნდა დააკისრონ რუსეთს პასუხისმგებლობა დეზინფორმაციული კამპანიებისა და სხვა მავნე მოქმედებების გამო, რათა ამ კუთხით არსებული საფრთხის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა გაიზარდოს.
- საქართველოს პარლამენტმა დაიწყოს თემატური მოკვლევის შედეგად აღებული ვალდებულებების შესრულება, შექმნას სადისკუსიო პლატფორმა და უზრუნველყოს „ერთიანი ეროვნული მიდგომით“ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის გაუმჯობესება. თემატური მოკვლევის საბოლოო ანგარიშის გათვალისწინებით, გაზარდოს მთავრობის დეზინფორმაციის წინააღმდეგ მუშაობის ზედამხედველობა.



**არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ რეკომენდაციები:**

- არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გაზარდონ კოორდინაციისა და თანამშრომლობის ხარისხი დეზინფორმაციაზე მომუშავე მთავარ აქტორებს შორის, რაც არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას უზრუნველყოფს. დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მნიშვნელოვანია ადვოკატირების გაძლიერება „ერთიანი ეროვნული მიდგომის“ მიმართულებით მრავალმხრივი კოალიციის შექმნის მეშვეობით.
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ დეზინფორმაციის საკითხებზე მთავრობასთან და პარლამენტთან ფორმალური და არაფორმალური პლატფორმების საშუალებით ადვოკატირება; გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ერთიანი პოზიციით ადვოკატირება მოხდეს ევროკავშირისა და NATO-ს შესაბამის სააგენტოებთან საქართველოს წინაშე არსებული ჰიბრიდული საფრთხეების საპასუხო პროაქტიული ნაბიჯების გადადგმის მიზნით.
- სამოქალაქო ორგანიზაციებმა თანამშრომლობა უნდა გააღრმავონ ინფორმაციულ და ტექნოლოგიურ კერძო კომპანიებთან, აკადემიასთან, რომელთაც საკუთარი ცოდნისა და რესურსის მეშვეობით, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შეტანა შეუძლიათ.
- სამოქალაქო ორგანიზაციებმა, დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით, უნდა დაწერონ დეზინფორმაციის მონიტორინგისა და ანალიზის თანამედროვე და უფრო ეფექტური ხელსაწყოები, მაგალითად, როგორც გამოიყენება Debunk.eu-ს მიერ.